

შპს "აპექსი" (ს/კ: 202238569)

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქ. თბილისი

2022 წ.

შინაარსი

შინაარსი.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის.....	3
შპს აპექსი (ს/კ: 202238569).....	5
2021წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	5
2021წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
შემოსავლის აღიარება.....	8
ხარჯების აღიარება.....	8
სხვა ხარჯები	9
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	9
მოგების გადასახადი.....	9
ძირითადი საშუალებები	10
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
სავაჭრო ვალდებულებები.....	11
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	11
1. შემოსავალი	11
2. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	12
3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
4. ძირითადი საშუალებები	13
5. სავაჭრო და მიმდინარე ვალდებულებები	14
6. წინასწარ გადახდილი თანხები	14
7. საწესდებო კაპიტალი.....	14
8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	15
9. თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები.....	15
10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	16
11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	16
12. ფუნქციონირებადი საწარმო	16
13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16

შპს აპექსი (ს/კ: 202238569)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშვნ ები	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
		ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	8	168,132.00	179,027.00	182,678.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	199,179.00	249,204.00	260,161.00
წინასწარ გადახდილი თანხები	6	25,709.00	31,701.00	26,355.00
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები				
სულ მიმდინარე აქტივები		393,020.00	459,932.00	469,194.00
გრძელვადიანი აქტივები				
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში				
ძირითადი საშუალებები	4	220,179.00	227,632.00	235,341.00
არამატერიალური აქტივები				
გადავადებული საგადასახადო აქტივი				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ გრძელვადიანი აქტივები		220,179.00	227,632.00	235,341.00
სულ აქტივები		613,199.00	687,565.00	704,535.00
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ფინანსური იჯარისვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	5	2,732.00	2,893.00	2,647.00
ვალდებულებები და ხარჯების ანარიცხები				
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		60,991.00	46,995.00	35,754.00
დებიტორული დავალიანების ანარიცხი				
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		-	-	-
მიმდინარე სასესო ვალდებულებები				
ფინანსური იჯარისვალდებულება				
მიღებული ავანსები	5	35,130.00	108,127.00	37,682.00
სხვა ვალდებულებები				
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		98,853.00	158,015.00	76,083.00
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესო ვალდებულებები				

	შენიშვნები	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
		ლარი	ლარი	ლარი
გადასახდელი პროცენტი				
ფინანსური იჯარის ვალდებულებები		-	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება		4,988.00	4,988.00	4,988.00
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,988.00	4,988.00	4,988.00
სულ ვალდებულებები		103,841.00	163,003.00	81,071.00
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	7	2,000.00	2,000.00	2,000.00
გაუნაწილებელი მოგება		507,358.00	522,562.00	621,464.00
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი		509,358.00	524,562.00	623,464.00
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		613,199.00	687,565.00	704,535.00

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 09 სექტემბერს.

დირექტორი: 3. ჯაფარიძე

ვაჟა ქვარიანი
(პ/ნ 60003005426)



შპს აპექსი (ს/კ: 202238569)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნები	2021 ლარი	2020 ლარი
ამონაგები	1	2,612,051.00	2,293,838.00
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1	5,724.00	13,380.00
სულ შემოსავალი		2,617,775.00	2,307,218.00
ცვლილებები სასაქონლო- მატერიალურ ფასეულობებში: მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება			
გამოყენებული ნედლეული და მასალები			
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები	9	(1,926,530.00)	(1,695,625)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	4	(11,177.00)	(10,972.00)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება			
საპროცენტო ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	2	(102,724.00)	(68,591.00)
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი			
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,040,431.00)	(1,775,188.00)
ფინანსური დანახარჯები			
სხვა არასაოპერაციო ხარჯი			
სულ არასაოპერაციო ხარჯები		-	-
წლის მოგება/ზარალი (დაბეგვრამდე)		577,344.00	532,030.00
მოგების გადასახადის ხარჯი		(88,882.00)	(94,639.00)
წმინდა მოგება/ზარალი (მიმდინარე წლის მოგება)		488,462.00	437,391.00
წმინდა მოგება/ზარალი წლის დასაწყისში		524,565.00	623,464.00
სხვა ცვლილება		-	-
დივიდენდები		(503,665.00)	(536,290.00)
წმინდა მოგება წლის ბოლოს		509,362.00	524,565.00

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი
გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 9 სექტემბერს.

დირექტორი: 3. ქვარიანი

ვაჟა ქვარიანი
(პ/ნ 60003005426)



შპს აპექსი (ს/კ: 202238569)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		3,059,162.00	2,788,365.00
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(1,650,557.00)	(1,430,482.00)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები		1,408,605.00	1,357,883.00
გადახდილი პროცენტები			
გადახდილი მოგების გადასახადი		(88,882.00)	(94,639.00)
გადახდილი სხვა გადასახადები		(847,746.00)	(753,588.00)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		471,977.00	509,656.00
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოყენებით			
ძირითადი საშუალების შეძენა		(4,394.00)	(3,831.00)
ძირითადი საშუალების მშენებლობა/რემონტი			
მანქანა დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები			
მიღებული პროცენტები			
მიღებული დივიდენდები			
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(4,394.00)	(3,831.00)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად			
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან			
შემოსულობანი მოკლევადიანი სესხებიდან			
ნასესხები სახსრების გადახდა (სესხის ძირითადი თანხა)			
დივიდენდების გადახდა		(478,479.00)	(509,475.00)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		(478,479.00)	(509,475.00)
სავალუტო კურსის ეფექტი			
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		(10,896.00)	(3,650.00)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	8	179,028.00	182,678.00

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი
გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 9 სექტემბერს

დირექტორი: 3. ჯანაიძე

ვაჟა ქვარიანი
(პ/ნ 60003005426)



ფულადი სახსრები დამათიეკვივალენტები
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის

8

168,132.00

179,028.00

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი
გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 9 სექტემბერს.

დირექტორი: 3. ჯანაშია

ვაჟა ქვარიანი
(პ/ნ 60003005426)



ზოგადი ინფორმაცია

„აპექსი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოში, 2004 წლის 18 აგვისტოს. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისის დიდუბის რაიონი, დიდმის მასივი 4 კვ., კორპ. 26, ბინა 3. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები, სხვა პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და გამოცემა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა

მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

სხვა ხარჯები

კომპანია აღიარებს მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღესასწაულის კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა / (ზარალი).

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-15 შენიშვნა). მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები საქართველოში წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში შესაძლებელია გადასახდელი

მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება. კომპანიის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, ასევე, ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მათი აღიარება ხდება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებული ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ტრანსპორტირება და სხვა) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები.

1. შემოსავალი

ამონაგები:	2021 ლარი	2020 ლარი
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	2,612,051.00	2,293,838.00
არასაოპერაციო შემოსავალი	5,724.00	13,380.00
სულ	<u>2,617,775.00</u>	<u>2,307,218.00</u>

2. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი

	2021 წელი	2020 წელი
კომუნიკაციის ხარჯი	15,080.00	13,612.00
საპენსიოს ხარჯი	18,941.00	15,877.00
რეკლამის ხარჯი	0.00	500.00
კომუნალური ხარჯი	11,455.00	7,494.00
ქონების გადასახადი	2,239.00	2,342.00
პროგრამული უზრუნველყოფისა და პოსტინგის მომსახურების ხარჯი	18,728.00	18,830.00
საიტის ხარჯი	25,800.00	0.00
სხვა ხარჯი	10,480.00	9,936.00
სულ	<u>102,723.00</u>	<u>68,591.00</u>

3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021 ლარი	2020 ლარი
დებიტორული დავალიანება	<u>199,179.00</u>	<u>249,204.00</u>

დებიტორული დავალიანება წარმოშობილია მიწოდებიდან, გადახდის ვადები არ აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს. წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს.

4. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო, ინვენტარი და სხვა	სულ
		ლარი	ლარი	ლარი
2020 წელი, 1 იანვარი	282,512.00	86,654.00	36,500.00	405,666.00
შემოსვლა		2,586.00	677.00	3,263.00
გასვლა				
2020 წელი, 31 დეკემბერი	282,512.00	89,240.00	37,177.00	408,929.00
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	79,724.00	61,003.00	29,599.00	170,326.00
გაუფასურება				
წლიური ცვეთა	4,315.00	5,169.00	1,488.00	10,972.00
	შენიშვნა ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო, ინვენტარი და სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება				
2020 წელი, 31 დეკემბერი	198,473.00	23,068.00	6,090.00	227,632.00
1 იანვარი, 2021 წ.	282,512.00	89,240.00	43,093.00	408,929.00
შემოსვლა		1,385.00	2,423.00	3,724.00
გასვლა				
31 დეკემბერი, 2020 წ.	282,512.00	90,625.00	37,177.00	408,930.00
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	282,512.00	66,172.00	31,087.00	412,653.00
1 იანვარი, 2021 წ.				
წლიური ცვეთა	4,315.00	5,313.00	1,549.00	11,177.00
გაუფასურება			-	
საბალანსო ღირებულება	282,512.00	90,625.00	39,516.00	412,653.00
31 დეკემბერი, 2021 წ.				

5. სავაჭრო და მიმდინარე ვალდებულებები

	2021 ლარი	2020 ლარი
ვალდებულებები მომწოდებლებთან	2,732.00	2,893.00
მიღებული ავანსები	35,130.00	108,127.00
სულ	<u>37,862.00</u>	<u>111,020.00</u>

ვალდებულებების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს მოწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების ღირებულებას და წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებას. ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მნიშვნელოვნად მათი საბალანსო ღირებულებისგან.

6. წინასწარ გადახდილი თანხები

	2021 ლარი	2020 ლარი
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	25,708.00	31,701.00
სულ წინასწარ გადახდილი თანხები	<u>25,708.00</u>	<u>31,701.00</u>

7. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას, რომელიც ასახულია სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში და წარმოადგენს 2000 ლარს. კომპანიის წესდების მიხედვით კაპიტალის მესაკუთრეები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდი, ამასთან მათ ხმის უფლება აქვთ კომპანიის პარტნიორთა კრებაზე მათ საკუთრებაში არსებული კომპანიის წილის შესაბამისად.

2021 წელს დამფუძნებლების მიერ საწესდებო კაპიტალის შემცირება ან გაზრდა არ მომხდარა.

8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021 ლარი	2020 ლარი
ფულადი სახსრები სალაროში	-	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	168,132.00	179,031.00
სულ	<u>168,132.00</u>	<u>179,031.00</u>

კომპანიის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში.

9. თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები

	2021 ლარი	2020 ლარი
დარიცხული ხელფასები	1,926,530.00	1,695,625.00
გაცემული ხელფასები	1,926,530.00	1,695,625.00
გასაცემი ხელფასები	0	0

კომპანიის სახელფასო დანახარჯებს წარმოადგენს ხელმძღვანელობაზე, ადმინისტრაციაზე და მუშა პერსონალზე გაცემულ ანაზღაურებას.

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე.

11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლებაარ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

საანგარიშგებო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

12. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ მომსახურების მიწოდება და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 9 სექტემბერს.

დირექტორი: 3. ჯახიანი

ვაჟა ქვარიანი
(3/6 60003005426)

